ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის

საჯარო კონსულტაციები

მოკლე მიმოხილვა

მთავრობათა ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა ღია მმართველობის პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპებია.

საქართველო, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყანა, ვალდებულია, 2014 წლის 30 აპრილამდე შეიმუშავოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი და წარუდგინოს ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს. საბოლოო სახით სამოქმედო გეგმა ღია მმართველობის პარტნიორობას წარედგინება 2014 წლის ივნისში.

პარტნიორობის რეგულაციების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს **სამოქალაქო საზოგადოების** მხარდაჭერითა და **ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო კონსულტაციების** გზით, დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპებისა და პროცესის დაცვით. ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო დოკუმენტების გათვალისწინებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ (სამდივნო) შეიმუშავა **სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესისა** და **საჯარო კონსულტაციების გეგმა.**

სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის გაძლიერების მიზნით, სამდივნომ დაიწყო მუშაობა აღნიშნულის გარდაქმნისათვის; სამდივნოს მიერ შემუშავდა ფორუმის სახელმძღვანელო წესები, რომელშიც დეტალურად გაიწერა ფორუმის მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურები და რეგულაციები, ფორუმის შემადგენლობას დაემატა პასუხისმგებელი უწყებები, ხოლო ფუნქციებს – სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა.

მუშაობა ფორუმის განახლებისთვის დასრულდა 2013 წელს, 2014 წლის 15 იანვარს კი გაიმართა განახლებული - **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის** - პირველი

შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მიღებულ იქნა სამდივნოს მიერ წარდგენილი ფორუმის სახელმძღვანელო წესები. ფორუმი შეთანხმდა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპებზე და ფორმატზე. ფორუმი ამოქმედდა, როგორც ეროვნულ დონეზე ღია მმართველობა საქართველოს საკონსულტაციო-საკოორდინაციო მექანიზმი. 2014 წლის 14 აპრილის მდგომარეობით გამართულია ფორუმის 4 სამუშაო შეხვედრა, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ღია მმართველობა საქართველოს ბანერის ქვეშ.

რაც შეეხება პარტნიორობის პრინციპების შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირებასა და მის აქტიურ ჩართულობას სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესების შესახებ, ონლაინ კონსულტაციებით დაიწყო. ნებისმიერ პირს საშუალება აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული საკონტაქტო ველის გამოყენებით სამდივნოს მიაწოდოს იდეები და მოსაზრებები, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ახალ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით. პროცესებში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, ონლაინ კონსულტაციის მექანიზმის შექმნის პარალელურად, **სამდივნომ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ფარგლებში, საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, დაგეგმა საჯარო კონსულტაციები საქართველოს მასშტაბით 2014 წლის 15 მარტიდან 15 აპრილამდე.**

საჯარო კონსულტაციები დაიგეგმა საქართველოს 15 ქალაქში USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი ცენტრების მხარდაჭერით, ფორუმის წევრი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით.

საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე ფორუმის 2 წარმომადგენელი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციიდან პრეზენტაციით წარუდგენს საზოგადოებას ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებს და ახალი სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციას. სამოქმედო გეგმის არსებული ვერსიით გათვალისწინებულ ვალდებულებათა წარდგენას მოსდევს დისკუსია და ფართო ინტერაქტიული პროცესი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას მთავრობამ, რომ გახდეს კიდევ უფრო ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე. შეხვედრების ხანგრძლივობა 2 საათია, თითოეულის დასასრულს მომხსენებელთა მიერ დგება შეხვედრის ოქმი.

2014 წლის 14 აპრილის მდგომარეობით, თელავში, გურჯაანში, სოფელ შაშიანში, გორში, რუსთავში, მარნეულში, ქუთაისში, სოფელ ხევში, მცხეთაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ბათუმში, ახალციხესა და თბილისში გამართულია 18 შეხვედრა. სტუდენტებთან და პროფესორ მასწავლებლებთან ცალკე შეხვედრები გაიმართა თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თბილისში. თბილისის მასშტაბით დაგეგმილია კიდევ რამდენიმე შეხვედრა.

შეხვედრები შუქდება ცენტრალური და ადგილობრივი მედიით.

საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

ინფორმაციის თავისუფლება

საჯარო კონსულტაციების ფარგლებში დაფარული თითოეული ქალაქის მცხოვრებთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. რეგიონებში მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება ვრცელდებოდეს ადგილობრივ თვითმმართველობებზე. რეგიონის მცხოვრებთა უმეტესობა საჭიროდ მიიჩნევს მთავრობამ დაგეგმოს აქტიური საინფორმაციო კამპანია არსებული სოციალური პროგრამების შესახებ, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში, მოსახლეობამ არ იცის, თუ როგორ შეუძლია ისარგებლოს ამა თუ იმ პროგრამით. რამდენიმე შეხვედრისას გაჩნდა იდეა სოფლებში საინფორმაციო დაფის შექმნის შესახებ, რაც მოსახლეობის აზრით, მარტივად მიაწვდის ინფორმაციას სოფლის მცხოვრებთ.

საზოგადოების ჩართულობა

მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ დაბალია საზოგადოების პროცესებში ჩართულობის ხარისხი, მოქალაქეები სათანადოდ არ ინტერესდებიან მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების განხილვაში. რამდენიმე ქალაქის მცხოვრებთა აზრით, მნიშვნელოვანია მთავრობამ სისტემატურად დაგეგმოს ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაციების ფორმატის შეხვედრები, რათა უზრუნველყოს მიმდინარე პროცესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება (განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და ქალაქებზე აქცენტით, სადაც ინტერნეტი ნაკლებად ან არ არის ხელმისაწვდომი), რაც თავის მხრივ, დაეხმარება

საზოგადოებას გააქტიურდეს და მონაწილეობა მიიღოს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან პროცესებში. მოსახლეობა თვლის, რომ სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოების ჩართულობის ამაღლებაში მთავრობას განსაკუთრებული მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ადგილობრივმა თვითმმართველობებმა.

საჯარო სამსახურის რეფორმა

საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დაგეგმილი საჯარო სამსახურის რეფორმა. მოსახლეობის აზრით, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა საჯარო სამსახურში მიღების წესებთან დაკავშირებით. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ საკონკურსო კომისიის შემადგენლობა უნდა ითვალისწინებდეს კადრების შერჩევის პროცესში დამოუკიდებელი პირის მონაწილეობას და ამასთან უნდა ხდებოდეს გასაუბრებების ვიდეო ჩაწერა. შეხვედრებში მონაწილე საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ცნობილი უნდა გახდეს კონკურსში გამარჯვებული პირის ვინაობა და პროფესიული გამოცდილება.

საჯარო სერვისების საფასური

შეხვედრების ფარგლებში მოსახლეობის უმრავლესობა ხაზს უსვამს სახელწიფო სერვისების მიღების პროცედურის სიმარტივესა და სისწრაფეს. თუმცა, რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობა თვლის, რომ სერვისების მისაღებად დაწესებული საფასურები მაღალია და საჭიროა სახელმწიფომ გადახედოს დადგენილ ტარიფებს. გარდა ამისა, საზოგადოება ხედავს საჭიროებას, საქართველოს ყველა სოფელი დაფაროს საზოგადოებრივმა ცენტრებმა, ვინაიდან დღიესათვის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას ჯერ კიდევ უწევს სხვადასხვა სერვისის მისაღებად ახლომდებარე ქალაქში ვიზიტი.

ნოტარიუსთა მომსახურება

სოფლად გამართული კონსულტაციების შეფასების შედეგად, ნათელია, რომ სოფლებში ნოტარიუსის მომსახურების არქონა მოსახლეობის ერთ–ერთი საყურადღებო პრობლემაა. მოქალაქეებს სურვილი აქვთ საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომი გახდეს ნოტარიუსის მომსახურება კვირაში 2 დღით მაინც. დიდ ქალაქებში კი მოსახლეობას სურს ნოტარიუსის მომსახურება მიიღოს იუსტიციის სახლის ფარგლებში.